

**საქართველოს ორგანული
კანონი პროკურატურის
შესახებ**

**ORGANIC LAW GEORGIA
ON THE PROCURACY**

**ОРГАНИЧЕСКИЙ ЗАКОН
ГРУЗИИ О ПРОКУРАТУРЕ**

გამომცემლობა "სამართალი"
თბილისი – 1998

პასუხისმგებელი გამომცემისათვის
საქართველოს იუსტიციის მინისტრი
თედო ნინიძე

სარედაქციო კოლეგია:
ჯამლეთ ბაბილაშვილი, ანზორ ბალუაშვილი,
ბადრი ბიჭაძე, ზია მეფარიშვილი,
ირაკლი ჩიქოვანი

Responsible for the issue
Minister of Justice of Georgia
TEDO NINIDZE

Editorial Board:
JAMLET BABILASHVILI, ANZOR BALUASHVILI, BADRI
BITSADZE, GIA MEPARISHVILI,
IRAKLI CHIKOVANI

Ответственный за выпуск
Министр Юстиции Грузии
ТЕДО НИНИДЗЕ

Редакционная коллегия:
ДЖАМЛЕТ БАБИЛАШВИЛИ, АНЗОР БАЛУАШВИЛИ,
БАДРИ БИЦАДЗЕ, ГИЯ МЕПАРИШВИЛИ,
ИРАКЛИЙ ЧИКОВАНИ

საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორბანული კანონი „პროკურატურის შესახებ“

საქართველოს კონსტიტუციის მიღებამ განაპირობა პროკურატურის უფლებამოსილების, ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ ახალი, ორგანული კანონის მიღების აუცილებლობა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში პროკურატურის საქმიანობის, უფლებამოსილების და ორგანიზაციის სამართლებრივი მოწესრიგების ორი ძირითადი ტენდენცია არსებობს. რიგი ქვეყნებისა ამას კონსტიტუციებით, სასამართლო წყობილების და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ახდენენ (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ავსტრია, საბერძნეთი და ა.შ.), მეორენი - კონსტიტუციების, პროკურატურის შესახებ სპეციალური კანონებით და საპროცესო კანონმდებლობით (ესპანეთი, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და ა.შ.). საქართველოს კონსტიტუციამ პროკურატურის საქმიანობის, უფლებამოსილების და ორგანიზაციის სამართლებრივი მოწესრიგების მეორე გზა აირჩია.

თანამედროვე სამართლებრივი სისტემები პროკურატურის ორგანიზაციის სამ ძირითად მოდელს იცნობენ:

1. პროკურატურა აღმასრულებელ ხელისუფლებაში (იუსტიციის სამინისტრო), რომელშიც პროკურატურა წარმოდგენილია როგორც სისხლისსამართლებრივი დეენის განმხორციელებელი სახელმწიფო ორგანო (“პროკურორი - სისხლისსამართლებრივი მოსარჩელე”). ქვეყნებში, სადაც ასეთი სახის პროკურატურები არსებობენ, პროკურატურას არ გააჩნია კანონის შესრულებაზე

ზედამხედველობის ფუნქცია. პროკურატურის საქმიანობა თვითონ არის საერთო იურისდიქციის სასამართლოების მხრიდან კონტროლის ობიექტი (აშშ, იაპონია, საფრანგეთი, იტალია, პოლონეთი, საბერძნეთი და ა.შ.);¹

2. პროკურატურა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი განშტოება, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას კანონის შესრულებაზე (მათ შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გარკვეულ დონეზე, საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოტანილი აქტების კანონიერებაზე და ა.შ.), ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას და სრული მოცულობის ატარებს დანაშაულის გამოძიებას (რუსეთი, ჩინეთი, უკრაინა, ბელორუსია, უზბეკეთი და ა.შ.);

3. პროკურატურა, როგორც სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება (ინსტიტუცია), რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციასთან ერთად, უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა კანონის შესრულებაზე მოკვლევის ორგანოების საქმიანობისას, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდაზე, ამასთან მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას საერთო იურისდიქციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელმა მხარემ და ა.შ. (ლატვია, საქართველო და ა.შ.).²

საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლში, პროკურატურის ოთხი ძირითადი ფუნქციაა მოხსენიებული (სისხლისსამართლებრივი დევნა, ზედამხედველობა მოკვლევაზე, ზედამხედველობა

1 მაგალითად, საბერძნეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 87-ე მუხლის მე-3 პუნქტით, თვალყურს პროკურორების საქმიანობაზე კანონით დადგენილი წესით ახორციელებენ საკასაციო სასამართლოს მოსამართლე-ნი. იხ. Конституции зарубежных государств. Издание 2-ое. М., БЕК, 1997.

2 არიან ქვეყნები, რომლებშიც პროკურატურა როგორც სახელმწიფო დაწესებულება საერთოდ არ არსებობს (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი და სხვა).

სასჯელის მოხდაზე და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა). იმავე მუხლის მე-3 პუნქტით, პროკურატურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით (ხაზგასმა ჩვენია - ჯ.ბ. და გ.მ.). სწორედ აღნიშნული მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კონსტიტუციის 91-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციურ ფუნქციათა განხორციელების მიზნით, საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანული კანონის მე-2 მუხლმა პროკურატურის უფლებამოსილებანი მნიშვნელოვნად გააფართოვა. კანონმდებელმა სწორედ ორგანული კანონით (სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომლითაც ასევე შესაძლებელი იყო პროკურატურის უფლებამოსილებათა განსაზღვრა, არ ითვლება ორგანულ კანონად) განსაზღვრა პროკურატურის ის უფლებამოსილებანი, რომლებიც არ არიან მოხსენიებული საქართველოს კონსტიტუციაში, მაგრამ არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციის დებულებებს.

საქართველოს ორგანული კანონის "პროკურატურის შესახებ" მე-2 მუხლის მიხედვით, პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

- ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;

- სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას;

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას;

ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას;

ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდინას, იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას, აგრეთვე დაკავების, წინასწარი პატიმრობის და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში;

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს როგორც მხარე და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;

- კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

აკრძალულია პროკურატურისათვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით.

რა მემკვიდრეობაზე ითქვა უარი:

1. ორგანული კანონით გაუქმდა საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლოში საქმეთა განხილვის, აგრეთვე სასამართლოს მიერ მიღებული აქტების კანონიერებაზე. სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას პროკურორი გამოდის როგორც მხარე და სარგებლობს დაცვის ტოლფასი უფლებებით. პროკურორი თუ არ დაეთანხმება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, როგორც მხარემ, უფლებამოსილია გაასაჩივროს იგი ზემდგომ სასამართლოში.

2. საქართველოს კონსტიტუციამ ადრე მოქმედი ე.წ. “საერთო ზედამხედველობის” სფეროში შემავალი პროკურატურის უფლებამოსილებანი გადაუნაწილა საკონსტიტუციო სასამართლოს, კონტროლის პალატას, სახალხო დამცველს და ა.შ. ამდენად, საერთო ზედამხედველობა გაუქმდა.

3. გაუქმდა პროკურორის უფლებამოსილებანი სამოქალაქო სამართალწარმოებაში. პროკურორს უკვე აღარ აქვს უფლება თავისი განცხადებით აღძრას სამოქალაქო საქმე საერთო იურისდიქციის სასამართლოში და მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

საქართველოს ორგანული კანონი “პროკურატურის შესახებ” სრულიად განსხვავდება პროკურატურის ე.წ. “საბჭოთა მოდელისაგან”. განსხვავდება იგი პროკურატურის შესახებ მიღებული რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნების საკანონმდებლო აქტებისაგან. ქართული პროკურატურა განთავისუფლებულია მთელი რიგი სოციალისტური

რუდიმენტებისაგან (სარევა ეკონომიკაში, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში და ა.შ.)

დასასრულს, გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ აშშ-ის იურისტთა ასოციაციას და ამ ასოციაციის ქ. თბილისის ოფისს (ბატონ რობერტ ლა მონტს, ქალბატონებს ბარბარა სვანს, ირინა ლორთქიფანიძეს და თამარ ჩორგოლეიშვილს) მათ მიერ ჯერ კიდევ პროკურატურის შესახებ კანონპროექტზე მუშაობისას აღმოჩენილი ქმედითი დახმარების, გაწეული რჩევებისა და ქართული კანონის ინგლისურ ენაზე არაოფიციალური თარგმნისათვის.

საქართველოს გენერალური პროკურორი

ჯამლეთ ბაბილაშვილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

გია მეფარიშვილი

ქ.თბილისი, 1998 წელი

სარჩევი

თავი I

ზოგადი დებულებანი	11
მუხლი 1. საქართველოს პროკურატურა	11
მუხლი 2. პროკურატურის ამოცანები	11
მუხლი 3. პროკურატურის საქმიანობის პრინციპები	12
მუხლი 4. პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები	12
მუხლი 5. პროკურატურის საერთაშორისო ვალდებულებები	12

თავი II

პროკურატურის სისტემა და ორგანიზაცია	12
მუხლი 6. პროკურატურის ორგანოები	12
მუხლი 7. საქართველოს გენერალური პროკურორი	13
მუხლი 8. საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგია	16
მუხლი 9. სამხედრო პროკურატურა	16
მუხლი 10. სატრანსპორტო პროკურატურა	18
მუხლი 11. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები	20
მუხლი 12. ქ. თბილისის პროკურატურა და საოლქო პროკურატურები	21
მუხლი 13. რაიონის (ქალაქის) და სასაჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურები	22
მუხლი 14. პროკურატურის ორგანიზაციის სხვა საკითხები	23

თავი III

პროკურატურის სამომავლო მიმართულებები	24
მუხლი 15. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება	24
მუხლი 16. წინასწარი გამოძიება	24
მუხლი 17. ზედამხედველობა კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე მოკვლევისა და ოპერატიული-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას	25
მუხლი 18. ზედამხედველობა კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე დაკავებულთა მოთავეების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების სხვა შეზღუდვის ადგილებში,	

აგრეთვე სახელისა და სასამართლოს მიერ დანიშნულ იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას	26
მუხლი 19. პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი	27
მუხლი 20. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია	28

თავი IV

საპროკურორ(ო) აქტივობა	28
მუხლი 21. საპროკურორო აქტების სისტემა	28
მუხლი 22. პროკურორის მოთხოვნა	29
მუხლი 23. წარდგინება	29
მუხლი 24. პროტესტი	30
მუხლი 25. დადგენილება	30
მუხლი 26. თანხმობა	31
მუხლი 27. მითითება	31
მუხლი 28. სანივარი	31
მუხლი 29. ინფორმაცია	32
მუხლი 30. საპროკურორო აქტების გასანივრება	32

თავი V

პროკურატურის კორსონალი	32
მუხლი 31. მთავრებები; რომლებიც წაყენება პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლის თანამდებობაზე დასანიშნ პირს	32
მუხლი 32. პროკურატურის მუშაკის ფიცი	33
მუხლი 33. პროკურატურაში სამუშაოდ მიღებაზე	34
მუხლი 34. პროკურატურიდან დათხოვნის წესი	34

თავი VI

პროკურატურის მუშაკთა სამართლებრივი დაცვა	35
მუხლი 35. პროკურატურის მუშაკის სამართლებრივი დაცვა	35
მუხლი 36. პროკურატურის მუშაკის საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა	36
მუხლი 37. პროკურატურის მუშაკის უფლება სასამართლო დაცვაზე	36
მუხლი 38. პროკურატურის მუშაკის პასუხისმგებლობა	36
მუხლი 39. წახალისება მუშაობაში წარმატებისათვის	37

თავი VII

პროკურატურის მუშაკთა სოციალური დაცვა	38
მუხლი 40. პროკურატურის მუშაკის სოციალური დაცვა	38
მუხლი 41. პროკურატურის მუშაკთა საკლასო წოდებები	39

თავი VIII

პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და	
---	--

დაფინანსება.....	39
მუხლი 42. პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და დაფინანსება.....	39

თავი IX

პროკურატურის საქმიანობის და ორგანიზაციის სხვა საკითხები.....	40
მუხლი 43. პროკურატურის ბუკღეითი გამოცემები.....	40
მუხლი 44. პროკურატურის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებები.....	40
მუხლი 45. ბეჭედი, პირადობის მოწმობა, ფორმის ტანსაცმელი და განმასხვავებელი ნიშნები.....	40
მუხლი 46. სტატისტიკური ანგარიშები.....	41
მუხლი 47. პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობანი.....	41
მუხლი 48. განცხადებებისა და საჩივრების განხილვა პროკურატურაში.....	41
მუხლი 49. ტერმინების განმარტება.....	41

თავი X

კონტროლი და ზედამხედველობა საქართველოს პროკურატურის საქმიანობაზე.....	42
მუხლი 50. საპარლამენტო კონტროლი.....	42
მუხლი 51. საქართველოს პრეზიდენტის კონტროლი.....	42
მუხლი 52. სასამართლო კონტროლი.....	42
მუხლი 53. ზედამხედველობა სახელმწიფო სახსრების გამოყენებაზე.....	43

თავი XI

გარდამავალი დებულებანი.....	43
მუხლი 54. საკვალიფიკაციო მოცდების ჩაბარების წესი.....	43

თავი XII

დასკვნითი დებულებანი.....	44
მუხლი 55. ძალადაკარგული აქტების ნუსხა.....	44
მუხლი 56. კანონის ამოქმედება.....	44

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს პროკურატურა

1. საქართველოს პროკურატურა (შემდგომში – პროკურატურა) არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.

2. აკრძალულია საგანგებო ან სპეციალური პროკურატურების შექმნა.

3. საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო უფლებამოსილებათა ფარგლებში საქართველოს გენერალურ პროკურორს შეუძლია შექმნას სპეციალიზებული პროკურატურა რეგიონული ან რაიონის (ქალაქის) პროკურატურის უფლებამოსილებით.

მუხლი 2. პროკურატურის ამოცანები

1. პროკურატურა კანონით დადგენილი წესით:

ა) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველ-საყოფად წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას;

გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას;

დ) ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას;

ე) ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდინას, იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას, აგრეთვე დაკავების, წინასწარი პატიმრობის და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში;

ვ) სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მონაწილეობს, როგორც მხარე და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას;

ზ) კოორდინაციას უწევს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

2. აკრძალულია პროკურატურისათვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც გათვალისწინებული არ არის საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით.

მუხლი 3. პროკურატურის საქმიანობის პრინციპები

პროკურატურის საქმიანობის პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა;
- გ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;
- დ) ერთიანობა და (კენტრალიზაცია, ყველა ქვემდგომი პროკურორის და პროკურატურის სხვა მუშაკის საქართველოს გენერალური პროკურორისადმი დაქვემდებარება;
- ე) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

მუხლი 4. პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

პროკურატურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ეს კანონი და საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 5. პროკურატურის საერთაშორისო ვალდებულებები

პროკურატურა თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც გამოძინარეობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან.

თავი II

პროკურატურის სისტემა და ორგანიზაცია

მუხლი 6. პროკურატურის ორგანოები

1. საქართველოში პროკურატურის სისტემას ქმნიან: საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს მთავარი სამხედრო

პროკურატურა, საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები, ქ. თბილისის პროკურატურა, საოლქო პროკურატურები, რეგიონული სამხედრო და სატრანსპორტო პროკურატურები, რაიონის (ქალაქის) პროკურატურები და სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურები.

2. პროკურატურის ორგანოების სტრუქტურას და საშტატო ერთეულებს დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

მუხლი 7. საქართველოს გენერალური პროკურორი

1. საქართველოს პროკურატურას ხელმძღვანელობს საქართველოს გენერალური პროკურორი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თანამდებობაზე ნიშნავს პარლამენტი.

2. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება დაინიშნოს საქართველოს გენერალურ პროკურორად ორ ვადაზე მეტი ხნით.

3. გენერალურ პროკურორს ჰყავს პირველი მოადგილე და სამი მოადგილე (ერთი მათგანია საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი), უფროსი თანაშემწეები, თანაშემწეები და მრჩეველები. გენერალური პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტა მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტის საფუძველია.

4. გენერალურ პროკურატურაში არის სამმართველოები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ჰყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა პროკურორები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტები და პროკურორები. გენერალურ პროკურატურაში არის საგამოძიებო ნაწილი, რომელსაც ჰყავს უფროსი და მისი მოადგილეები, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა უფროსი გამომძიებლები და განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებლები.

5. გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

6. გენერალური პროკურორი:

ა) კანონით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს პროკურატურის საქმიანობას;

ბ) პირადად ან გენერალური პროკურატურის მეშვეობით ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ქმნის და აუქმებს პროკურატურებს, ადგენს მათ სტრუქტურულ ერთეულთა კომპეტენციას;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქვემდგომ პროკურორებს, პროკურატურის მუშაკებს და სხვა თანამშრომლებს;

ე) ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური პროკურატურის კოლეგიის წევრებს;

ვ) კანონით დადგენილი წესით აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლში ნამოთვლილი პირების, პარლამენტის წევრის, სახალხო დამცველის, მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, აგრეთვე საქართველოს სამხედრო ძალების იმ ოფიცრების მიმართ, რომლებიც თანამდებობაზე დანიშნულნი არიან საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მიერ; ასევე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და მთავრობათა წევრების მიერ დანაშაულის ჩადენისას;

ზ) უზრუნველყოფს სტატისტიკურ ანგარიშგებას, ორგანიზებას უწევს საპროკურორო და საგამომძიებო პრაქტიკის განხორციელებასა და სრულყოფას, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების გავრცელებასა და პრაქტიკაში დანერგვას;

თ) შეიმუშავებს წინადადებებს პროკურატურის დაფინანსებისა და მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ;

ი) გამოყოფილი ხელფასის ფონდის ფარგლებში ამტკიცებს გენერალური პროკურატურის და ქვემდგომი პროკურატურების სტრუქტურას, საშტატო ერთეულების რაოდენობას და ხელფასის ოდენობას;

კ) განსაზღვრავს თავისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, გენერალური პროკურატურის და ქვემდგომი პროკურატურების სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციურ მოვალეობებს. გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები (გარ-

და საქართველოს სამხედრო პროკურორისა) ხელმძღვანელობენ პროკურატურის საქმიანობის განსაზღვრულ მიმართულებას;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროკურატურის თანამშრომლებს, დადგენილი წესით ანიჭებს მათ სპეციალურ წოდებებს;

მ) წარმოადგენს საქართველოს პროკურატურას საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო სახელმწიფოების სამართალდაცვის ორგანოებთან ურთიერთობებში;

ნ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, სპეციალური წოდების ჩამორთმევის საკითხებს;

ო) კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს;

პ) ხელმძღვანელობს და წარმართავს საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიის მუშაობას;

ჟ) აუქმებს ქვემდგომი პროკურორების მიერ გამოცემულ კანონსაწინააღმდეგო ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს;

რ) განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს, იღებს მოქალაქეებს;

ს) ამტკიცებს პროკურატურაში სტაჟირების გავლის წესს, გენერალური პროკურატურის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას, პროკურატურის ბეჭდვითი გამოცემების რედაქტირებს;

ტ) ახორციელებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. გენერალური პროკურორის დროებით არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე.

8. გენერალური პროკურორის ბრძანება ან სხვა აქტი, კონსტიტუციასთან ან კანონთან შეუსაბამობის შემთხვევაში, განსჯადობის მიხედვით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 8. საქართველოს ბენერალური პროკურატურის კოლევგია

1. საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოა გენერალური პროკურატურის კოლევგია.

2. გენერალური პროკურატურის კოლევგიას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.

3. გენერალური პროკურატურის კოლევგიის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან: გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, ქ. თბილისის პროკურორი, გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრული პროკურატურის სხვა მუშაკები. კოლევგიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ საქართველოს შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრები, საგამოძიებო სამსახურების ხელმძღვანელები, გენერალური პროკურატურის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები და სხვა პირები.

4. გენერალური პროკურატურის კოლევგია განიხილავს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობას, საკადრო საკითხებს, ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, ყველა სხვა ქვემდგომი პროკურორის ანგარიშებს და პროკურატურის საქმიანობის სხვა საკითხებს.

5. გენერალური პროკურორის და გენერალური პროკურატურის კოლევგიის წევრების აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს გენერალური პროკურორი. კოლევგიის გადაწყვეტილება ფორმდება გენერალური პროკურორის ბრძანებით.

მუხლი 9. სამხედრო პროკურატურა

1. სამხედრო პროკურატურა არის სპეციალიზებული პროკურატურა, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ კანონით და კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, იმ დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, რომლებიც ჩადენილია სამხედრო მოსამსახურის, მას-

თან გათანაბრებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა მიერ; აგრეთვე საქართველოს სამხედრო ძალებში მომსახურე სამოქალაქო პირის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედება სამსახურში ან სამხედრო ნაწილის, სამხედრო დაწესებულების ტერიტორიაზე დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა; ასევე იმ სამოქალაქო პირთა საქმეებზე, რომლებიც მონაწილეობენ სამხედრო მოსამსახურესთან ან მასთან გათანაბრებულ პირთან ერთად დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

2. სამხედრო პროკურატურა ზედამხედველობს კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე ჰაუპტკეახტსა და ხადისციპლინო სამხედრო ნაწილში.

3. სპეციალისებული სამხედრო პროკურატურებია: საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურა და რეგიონული სამხედრო პროკურატურები.

4. საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, რომელიც თანამდებობის მიხედვით არის საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე.

5. მთავარ სამხედრო პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

6. მთავარ სამხედრო პროკურორს ჰყავს ორი მოადგილე, უფროსი თანაშემწე და თანაშემწეები.

7. მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეს, უფროს თანაშემწესა და თანაშემწეს, აგრეთვე რეგიონულ სამხედრო პროკურორს მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

8. მთავარ სამხედრო პროკურატურაში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ჰყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტი და პროკურორები. მთავარ სამხედრო პროკურატურაში არის

საგამოძიებო ნაწილი, რომელსაც კეავეს უფროსი და მისი მოადგილე, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

9. მთავარი სამხედრო პროკურატურის განყოფილების ან საგამოძიებო ნაწილის უფროსს და მის მოადგილეს, განყოფილების უფროს პროკურორს, პროკურორს, პროკურორ-კრიმინალისტს, უფროს გამომძიებელსა და გამომძიებელს, რეგიონული სამხედრო პროკურორის მოადგილეს, უფროს თანაშემწესა და თანაშემწეს, უფროს გამომძიებელს, გამომძიებელსა და სტაჟიორს მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

10. მთავარ სამხედრო პროკურატურაში იქმნება სათათბირო ორგანო მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი სამხედრო პროკურორი.

11. მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლეგიის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან: მთავარი სამხედრო პროკურორის ორივე მოადგილე, მთავარი სამხედრო პროკურატურის განყოფილებათა უფროსები, საგამოძიებო ნაწილის უფროსი, პროკურორ-კრიმინალისტი და ქ. თბილისის რეგიონული სამხედრო პროკურორი.

12. მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლეგიის შემადგენლობას მთავარი სამხედრო პროკურორის წარდგინებით ამტკიცებს გენერალური პროკურორი.

13. მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლეგია მოქმედებს ამ კანონის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

14. მთავარი სამხედრო პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და სხვა აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სამხედრო პროკურატურის მუშაკებისათვის.

მუხლი 10. სატრანსპორტო პროკურატურა

1. სატრანსპორტო პროკურატურა არის სპეციალიზებული პროკურატურა, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ კანონით და კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, იმ დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, რომლებიც ჩადენილია მეტროპოლიტენში, სარკინიგზო, საავიაციო და სახლეთა ტრანსპორტში.

2. სპეციალიზებული სატრანსპორტო პროკურატურები: საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა და რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურები.

3. საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურას ხელმძღვანელობს საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი.

4. საქართველოს ტრანსპორტის პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

5. საქართველოს ტრანსპორტის პროკურორს ჰქავს ორი მოადგილე, უფროსი თანაშემწე და თანაშემწეები.

6. საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის მოადგილეს, უფროს თანაშემწესა და თანაშემწეს, აგრეთვე რეგიონულ ტრანსპორტის პროკურორს საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

7. საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურაში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც ჰქავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტი და პროკურორები. საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურაში არის საგამომიებო ნაწილი, რომელსაც ჰქავს უფროსი და მისი მოადგილე, უფროსი გამომიებლები და გამომიებლები.

8. საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურის განყოფილებების, საგამომიებო ნაწილის უფროსს და მის მოადგილეს, განყოფილების პროკურორს, უფროს გამომიებელსა და გამომიებელს, რეგიონული ტრანსპორტის პროკურორის მოადგილეს, უფროს თანაშემწესა და თანაშემწეს, უფროს გამომიებელს, გამომიებელსა და სტაჟიორს საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

9. საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და სხვა აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სატრანსპორტო პროკურატურის მუშაკებისათვის.

მუხლი 11. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების ავტონომიური რესპუბლიკების

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებს ხელმძღვანელობენ შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს კეათ ორ-ორი მოადგილე, უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების მოადგილეებს შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც კეათ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტები და პროკურორები. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში არის საგამომიებო ნაწილები, რომლებსაც კეათ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი გამომიებლები და გამომიებლები.

6. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების უფროს თანაშემწეებსა და თანაშემწეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების განყოფილებისა და საგამომიებო ნაწილის უფროსს და მის მოადგილეს, პროკურორ-კრიმინალისტს, განყოფილების უფროს პროკურორებსა და პროკურორებს, უფროს გამომიებლებსა და გამომიებლებს, სტაჟიორებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) პროკურორებს და მათ მოადგილეებს, უფროს თანაშემწეებსა და თანაშემწეებს შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების წარდგინებით

თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

7. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში იქმნება სათათბირო ორგანოები – შესაბამისად აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობს შესაბამისად აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი.

8. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების კოლეგიათა შემადგენლობაში არიან: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების მთავადგილეები, ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების განყოფილებათა და საგამოძიებო ნაწილთა უფროსები, პროკურორ-კრიმინალისტები, აფხაზეთისა და აჭარის დედაქალაქების პროკურორები.

9. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების კოლეგიათა შემადგენლობას შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

10. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების კოლეგიები მოქმედებენ ამ კანონის მე-8 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

11. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებსა და სხვა აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა მათდამი დაქვემდებარებული პროკურორებისა და პროკურატურის სხვა თანამშრომლებისათვის.

მუხლი 12. *ა. თბილისის პროკურატურა და საოლქო პროკურატურები*

1. ქ. თბილისის პროკურატურას და საოლქო პროკურატურებს ხელმძღვანელობს შესაბამისად ქ. თბილისის ან საოლქო პროკურორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

2. საოლქო პროკურატურები იქმნება საოლქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით.

3. ქ. თბილისის პროკურორს და საოლქო პროკურორებს პყავთ ორ-ორი მოადგილე, უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები.

4. ქ. თბილისის პროკურატურაში და საოლქო პროკურატურებში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომელთაც პყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტები და ჰროკურორები. ქ. თბილისის პროკურატურაში და საოლქო პროკურატურებში არის საგამოძიებო ნაწილები, რომლებსაც პყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

5. ქ. თბილისის პროკურატურის და საოლქო პროკურატურების მუშაკებს ქ. თბილისის და შესაბამისი საოლქო პროკურორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

6. ქ. თბილისის პროკურორი და საოლქო პროკურორები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებსა და სხვა აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა მათდამი დაქვემდებარებული პროკურატურის მუშაკებისათვის.

მუხლი 13. რაიონის (ქალაქის) და სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურები

1. სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურა არის სპეციალიზებული პროკურატურა, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ კანონით და კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საგამოძიებო იზოლატორში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

2. რაიონის (ქალაქის) და სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი პროკურორები, რომელთაც შეიძლება პყავდეთ მოადგილეები, უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

3. რაიონის (ქალაქის) პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქაროველოს გენერალური პროკურორი შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, ქ. თბილისის პროკურორის და საოლქო პროკურორების წარდგინებით. სასჯელაღსრულებით პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

4. რაიონის (ქალაქის), სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურორების მოადგილეებს, უფროს თანაშემწეებსა და თანაშემწეებს, უფროს გამომძიებლებს, გამომძიებლებსა და სტაჟიორებს შესაბამისი პროკურორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

5. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) პროკურატურის უფროს გამომძიებლებს და გამომძიებლებს თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები და ამტკიცებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

მუხლი 14. პროკურატურის ორგანიზაციის სხვა საკითხები

1. საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის, საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო, რეგიონული სამხედრო და ტრანსპორტის, რაიონის (ქალაქის), სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურორების უფლებამოსილების ვადა 5 წელია.

2. ერთი და იგივე პირი საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის, საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო, რეგიონული სამხედრო და ტრანსპორტის, რაიონის (ქალაქის), სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურორის თანამდებობაზე არ შეიძლება დაინიშნოს ორ ვადაზე მეტი ხნით.

3. ქვემდგომი პროკურორის დაქვემდებარება ზემდგომისადმი გულისხმობს:

ა) ქვემდგომი პროკურორისათვის ზემდგომის მიერ პროკურატურის ორგანიზაციის და საქმიანობის საკითხებზე მიცემულ მითითებათა შესრულების სავალდებულობას;

ბ) ქვემდგომი პროკურორის პასუხისმგებლობას ზემდგომის წინაშე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას;

გ) ზემდგომი პროკურორის მიერ აუცილებლობის შემთხვევაში ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილებათა განხორციელებას ან ქვემდგომი პროკურორისათვის თავისი ცალკეული უფლებამოსილების განხორციელების დაკისრებას;

დ) ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორების მიღებული გადაწყვეტილებებისა და აქტების გაუქმებას, მათში ცვლილებების შეტანას, მათი სხვა გადაწყვეტილებებით ან სხვა აქტებით შეცვლას;

ე) ზემდგომი პროკურორის მიერ ქვემდგომი პროკურორების მიღებულ აქტებზე გადაწყვეტილებებისა და საჩივრების განხილვას;

ვ) ქვემდგომი პროკურორის მიერ ზემდგომისათვის თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშის, ინფორმაციის, საქმეებისა და მასალების წარდგენას.

4 საქართველოს გენერალურ პროკურორს უფლება აქვს დააწესოს ქვემდგომი პროკურორების დაქვემდებარების სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ამ კანონს.

5. ქვემდგომი პროკურორი ან პროკურატურის სხვა მუშაკი ვალდებულია შეასრულოს ზემდგომი პროკურორის ყველა კანონიერი მოთხოვნა და მითითება.

თავი III

პროკურატურის საქმიანობის მიმართულებები

მუხლი 15. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება

1. პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში ახორციელებს სისხლის-სამართლებრივ დევნას.

2. პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას წინასწარი გამოძიების სტადიაზე.

მუხლი 16. წინასწარი გამოძიება

პროკურატურა დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს წინასწარ გამოძიებას.

მუხლი 17. ზედამხედველობა კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე მოკვლევებისა და ოპერატიულ-სამძებრო ორბანოების საქმიანობისას

1. პროკურორი მოკვლევების ორგანოების საქმიანობისას კანონის ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად შედამხედველობს:

ა) მოკვლევების ორგანოებში დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების რეგისტრაციის, განხილვის და შესაბამისი ზომების მიღების კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვა;

ბ) მოკვლევების ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქმედებათა ნატარებისა და ამ საქმიანობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას.

2. პროკურორი ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად შედამხედველობს ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და ამ საქმიანობის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებას.

3. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ნატარების, გაგრძელების და შეწყვეტის შესახებ მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა არ წარმოადგენს საპროკურორო შედამხედველობის საგანს.

4. მონაცემები იმ პირზე, რომელიც უწევს ან უწევდა კონფიდენციალურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს, თანამშრომლობს ან თანამშრომლობდა მასთან, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის მოპოვების ტაქტიკა, ორგანიზაცია, ოპერატიული დამუშავების საქმე და სხვა ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო ნაწილი არ წარმოადგენს საპროკურორო შედამხედველობის საგანს.

5. ოპერატიული დამუშავების საქმის და სხვა ოპერატიულ-სამძებრო აღრიცხვის საქმეების საიდუმლო მასალების გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს გენერალურ პროკურორს და მის მიერ განსაზღვრულ ერთ მოადგილეს.

მუხლი 18. ზედამხედველობა კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე დაკავებული მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების სხვა შეზღუდვის ადგილებში, აბრეშვი სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნულ იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას

1. პროკურორი ზედამხედველობს:

ა) დააკეზებულთა მოთავსების ადგილებში პირთა ყოფნის, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის და თავისუფლების სხვა შეზღუდვის ადგილებში, სასჯელის ან სასამართლოს მიერ დანიშნული სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების აღსრულების კანონიერებას;

ბ) აღნიშნულ დაწესებულებებში პირთა ყოფნის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვას.

2. პროკურორს უფლებამოსილების განხორციელებისას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს:

ა) კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად ჩაატაროს შემოწმებები დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებსა და სხვა დაწესებულებებში, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს ან სასამართლოს მიერ დანიშნულ სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებს;

ბ) ამ პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად შევიდეს შესაბამის დაწესებულებებში ნებისმიერ დროს;

გ) გამოკითხოს დაკავებული, დაპატიმრებული, მსჯავრდებული პირები და პირები, რომელთაც შეფარდებული აქვთ იძულებითი ხასიათის ღონისძიებანი;

დ) გაეცნოს დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც ეს პირები არიან დაკავებულნი, დაპატიმრებულნი, იხდიან სასჯელს ან შეფარდებული აქვთ იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებანი;

ე) დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვა იძულებით ღონისძიებებს დაქვემდებარებული პირის გასათავისუფლებლად;

ვ) გააუქმოს დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პირისათვის უკანონოდ დადებული დისციპლინური სახდელი და დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს იგი საჯარბო იზოლატორიდან, კარცერიდან;

ზ) კანონით დადგენილ შემთხვევებში თანხმობა მისცეს ზემო-
ხსენებულ დაწესებულებათა ადმინისტრაციის აქტებს;

თ) შეამოწმოს ზემოხსენებულ დაწესებულებათა ადმინისტრაციის ბრძანებების, განკარგულებებისა და დადგენილებების კანონთან შესაბამისობა, შეაჩეროს მათი მოქმედება და გააპროტესტოს უკანონო აქტები, შესაბამის თანამდებობის პირს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები.

3. პროკურორი ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. პროკურორის მოთხოვნა ზემოხსენებულ დაწესებულებებში პირთა მოთავსების, ყოფნის, სხვა იძულებით ღონისძიებათა აღსრულების კანონიერებასთან დაკავშირებით სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი დაწესებულებების ადმინისტრაციისათვის.

მუხლი 19. პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი

1. პროკურორი პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა.

2. პროკურორს უყვლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებს ბრალდებას. ბრალდებაზე პროკურორის უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

3. პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საქმის წინასწარ მოსმენაში. ამასთან, მას უყვლება აქვს განაცხადოს შეამდგომლობა და აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა დასაშვებითობის შესახებ საკითხთა განხილვაში, საქმის შეწყვეტის, საქმის წარმოების შეჩერების, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების, სასამართლოში საქმის წარმართვისა და სხვა საკითხების განხილვაში.

4. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საჯარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში. მას უყვლება აქვს: განაცხადოს შეამდგომლობა და აცილება; წარადგინოს მტკიცებულებანი და მონაწილეობა მიიღოს დაცვის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში; გამოთქვას აზრი სასამართლო განხილვის დროს

წამოჭრილ ეველა საკითხზე; მონაწილეობა მიიღოს მხარეთა კამათში და სასამართლოს გააცნოს თავისი პოზიცია ბრალდების დამტკიცების, ქმედების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის, განსახჯელის შერაცხადობის, სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განსახჯელის განთავისუფლების შესახებ.

5. საკასაციო და სარევიზიო წარმოების სტადიებზე პროკურორი მხარს უჭერს თავის სანივარს ან გამოთქვამს აზრს, როგორც მხარე, იმ სანიერების შესახებ, რომლებიც სამართალწარმოების სხვა მონაწილეებმა შეიტანეს.

მუხლი 20. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაცია

1. პროკურატურა აანალიზებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მონაწილეობს მათ სხდომებში, შეიმუშავებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ღონისძიებებს. იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მოკვლევას და წინასწარი გამოძიების ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას.

2. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

თავი IV

საკროკურორო აქტიუმი

მუხლი 21. საკროკურორო აქტიუმის სისტემა

პროკურორი უფლებამოსილების განხორციელებისას თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს შემდეგ აქტებს: მოთხოვნას, წარდგინებას, პროტესტს, დადგენილებას, თანხმობას, სანივარს, მითითებას და ინფორმაციას.

მუხლი 22. პროკურორის მოთხოვნა

1. პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) სისხლის სამართლის საქმეზე საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის ჩატარება;

ბ) კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში წამოჭრილი საკითხების გასარკვევად სპეციალისტების გამოყოფა;

გ) ზედამხედველობის ან საპროცესო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტების, მასალების, საქმეების, მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის წარდგენა.

2. გამოთხოვილი ინფორმაცია პროკურორს უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 10 დღის ვადაში, მიუხედავად ამ ინფორმაციის რევიზიისა.

3. დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია შეიძლება შემოწმდეს პროკურორის მოთხოვნით მათ სამყოფელ ადგილას, პროკურორის ან მისი დაველებით – სპეციალისტების, ექსპერტებისა და სხვა პირების მიერ.

4. პროკურორის მოთხოვნით, დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს პროკურატურაში ან მის მიერ მითითებულ სხვა ადგილას.

5. პროკურორი ვალდებულია კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოს გამოთხოვილ ინფორმაციაში მოცემული სახელმწიფო ან სხვა საიდუმლოების დაცვა.

6. აკრძალულია სასამართლოს კომპეტენციაში ჩარევა და რაიმე მასალების ან საქმის გამოთხოვა სასამართლოდან, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 23. წარდგინება

1. პროკურორს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წესით შეაქვს წარდგინება კანონმდებლობის დარღვევის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად ამ კანონის მე-16–18 მუხლებში მითითებულ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეებთან, რომლებიც

ვალდებულნი არიან 10 დღის ვადაში აცნობონ პროკურორს მიღებული ზომების შესახებ.

2. წარდგინების განხილვისას სხდომის დღე უნდა ეცნობოს პროკურორს, რომელსაც განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს.

მუხლი 24. პროტესტი

1. პროკურორს წერილობითი პროტესტი შეაქვს ამ კანონის მე-17 და მე-18 მუხლებში მითითებულ სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეების აქტებისა და ქმედებების კანონთან შეუსაბამობის თაობაზე.

2. პროტესტში პროკურორმა შეიძლება მოითხოვოს:

ა) უკანონო აქტების მოღიანად ან ნაწილობრივ გაუქმება ან კანონთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) უკანონო ქმედების შეწყვეტა;

გ) დარღვეული უფლებების აღდგენა;

დ) კანონის დამრღვევის დასჯა.

3. პროტესტი უკანონო სამართლებრივი აქტის გამო შეიტანება მის გამომცემ ან შემდგომ ორგანოში. იმავე წესით ხდება თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებათა გაპროტესტება.

4. პროკურორის პროტესტი განხილულ უნდა იქნეს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

5. პროტესტის განხილვის დღე უნდა ეცნობოს პროკურორს, რომელსაც უფლება აქვს პირადად ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით დაუჭიროს მხარი პროტესტს.

6. პროტესტი განხილვამდე შეიძლება გამოითხოვოს მისმა შემტანმა ან შემდგომმა პროკურორმა.

7. შემდგომ პროკურორს უფლება აქვს პროტესტის განხილვის დაწყებამდე შეიტანოს მასში ცვლილებები ან შეცვალოს იგი ახალი პროტესტით.

მუხლი 25. დადგენილება

1. მოქალაქის ან თანამდებობის პირის მიერ დაშვებული კანონმდებლობის დარღვევის ხასიათის მიხედვით, კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა ფარგლებში და წესით, პროკურორს გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის, ადმინისტრაციული სა-

მართალდარღვევის შესახებ წარმოებისა და დისციპლინური წარმოების აღძვრის შესახებ.

2. პროკურორის დადგენილებები დისციპლინური წარმოების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ წარმოების აღძვრის თაობაზე განხილულ უნდა იქნეს მიღებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ. განხილვის შედეგები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

მუხლი 26. თანხმობა

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურორი აძლევს წერილობით თანხმობას სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მოქმედებებზე.

მუხლი 27. მითითება

1. პროკურორს უფლება აქვს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში მისცეს წერილობითი მითითება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებს.

2. პროკურორის მითითება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად.

მუხლი 28. საჩივარი

1. პროკურორი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია:

